## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/207-2007 25 სექტემბერი 2007 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს:

ა) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (დანართი 1);

ბ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა (დანართი 2).

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 მარტის №131 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბრის № 1/207-2007

გადაწყვეტილებით

დანართი 1

# მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

## თავი I.
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნები

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში საკვალიფიკაციო გამოცდა) მიზანია მაღალკვალიფიციური იურისტების შერჩევა შემდგომში მოსამართლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

2. საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება გამოსაცდელი პირი (კანდიდატი) მოსამართლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, საკმარისია თუ არა მისი თეორიული ცოდნა და შესწევს თუ არა მას თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

### მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

2. ამ წესის მიზნებისთვის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება:

ა) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო (მათ შორის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის) უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა" ან „საერთაშორისო სამართალი" და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის" კვალიფიკაცია;

ბ) პირი, რომელსაც აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული სპეციალისტის ან მაგისტრის უმაღლესი აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობის სპეციალობაში.

გ) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა", ასევე ლიცენზირებული კერძო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, რომელსაც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის" კვალიფიკაცია, ამასთან, დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ მათ ჩაბარებული აქვთ შემდეგი საგნები:

გ.ა) საქართველოს სახელმწიფო (საკონსტიტუციო) სამართალი;

გ.ბ) სისხლის სამართალი;

გ.გ) სისხლის სამართლის პროცესი;

გ.დ) სამოქალაქო სამართალი;

გ.ე) სამოქალაქო სამართლის პროცესი;

გ.ვ) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;

გ.ზ) სამართლის თეორია.

4. პირი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარების შემთხვევაში.

**მუხლი 3. საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო კომისია**

1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნამდე 30 დღით ადრე, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთაგან იქმნება საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო კომისია (შემდგომში საორგანიზაციო კომისია).

2. საორგანიზაციო კომისიის უფლებამოსილება წყდება საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე.

3. საორგანიზაციო კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

4. საორგანიზაციო კომისიას ევალება გამოცდების მოსამზადებლად აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, გამოცდის ჩაბარების მსურველთა განცხადებების მიღება, მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.

**მუხლი 4. საბუთების მიღება საკვალიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად**

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა საბუთების მიღება იწყება პირველი გამოცდის ჩატარებამდე ოცდახუთი დღით ადრე და წყდება გამოცდის ჩატარებამდე ათი დღით ადრე. განცხადების მიღების ბოლო დღის შემდეგ დაგვიანებით შემოსული განცხადება არ მიიღება.

2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველს განცხადება შეაქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო კომისიაში. მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ;

ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი, ხოლო ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში — ჩაბარებული საგნების დანართი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

3. განცხადება შეიტანება მხოლოდ საერთო საკვალიფიკაციო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციის მიხედვით.

**4.** გამოცდის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე თითოეულ კანდიდატზე გაიცემა საგამოცდო ფურცელი, რომელშიც აღინიშნება კანდიდატის სახელი, გვარი და სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია პირის იდენტიფიკაციისათვის.

5. თუ კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს ან წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, კანდიდატის საბუთები არ მიიღება და იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

**მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნა და ჩატარების ვადები**

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა (საერთო და/ან სპეციალიზაციის მიხედვით), თარიღი, აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

**მუხლი 6. გამოცდის ჩატარების ენა**

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

**მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდა**

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საერთო და სპეციალიზაციის მიხედვით.

2. სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.

3. საერთო საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) სისხლის სამართალი;

გ) სისხლის სამართლის პროცესი;

დ) სამოქალაქო სამართალი;

ე) სამოქალაქო სამართლის პროცესი;

ვ) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;

ზ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

4. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) სამოქალაქო სამართალი;

გ) სამოქალაქო სამართლის პროცესი;

დ) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;

ე) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

ვ) სასამართლო კონტროლი სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებებსა და საგამოძიებო მოქმედებებზე.

5. სისხლის სამართლის სპეციალიზაციით გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) სისხლის სამართალი;

გ) სისხლის სამართლის პროცესი;

დ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

**მუხლი 8. საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპები და შედეგების გამოცხადება**

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო შემდეგ – წერითი გამოცდა.

2. წერით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტურ გამოცდას.

3. საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება ტესტური და წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

4. ტესტურ გამოცდაში მიღებული შედეგები მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დროს არ მიიღება მხედველობაში.

5. როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდის შედეგები ცხადდება გამოცდის ჩაბარებიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში.

## თავი II.
## ტესტური გამოცდა

**მუხლი 9. საგამოცდო ტესტი**

1. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ ას საკითხს.

2. საგამოცდო ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი, შეიცავს ფაქტობრივი ცხოვრებისეული შემთხვევის აღწერას, ხოლო მეორე ნაწილი – ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). გამოსაცდელის ამოცანაა გამოიცნოს სწორი პასუხი და შემოხაზოს ამ პასუხის აღმნიშვნელი ანბანის ასო საგამოცდო ტესტის პასუხებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფურცელში.

3. ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა შემოხაზოს მხოლოდ ერთი პასუხი.

**მუხლი 10. ტესტის საკითხების შეფასება**

1. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი კი – 0 (ნული) ქულით.

2. თუ შემოხაზულია ერთზე მეტი პასუხი ან არც ერთი პასუხი არ არის შემოხაზული, ტესტის ამოხსნა შეფასდება 0 (ნული) ქულით.

3. ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0 (ნული) ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 100 (ასი) ქულა.

**მუხლი 11. გამსვლელი ქულა**

გამოსაცდელი, რომელიც ტესტურ გამოცდაში დააგროვებს 75 (სამოცდათხუთმეტ) ან მეტ ქულას, გადის შემდეგ ეტაპზე და მას უფლება აქვს ჩააბაროს წერითი გამოცდა.

**მუხლი 12. საგამოცდო დრო**

1. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ხუთი საათი. დროის გადაცილების შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდების საორგანიზაციო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. პირველი გაფრთხილების შემდეგ არავის არა აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო დარბაზი საგამოცდო ტესტის ჩაბარების გარეშე.

**მუხლი 13. საგამოცდო ტესტების დარიგების წესი**

1. ტესტური გამოცდის დაწყებამდე საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლებს საგამოცდო დარბაზში შემოაქვთ დალუქული ყუთები, რომელშიც მოთავსებულია დალუქული კონვერტები.

2. საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი გამოსაცდელთაგან მოიწვევს რამდენიმე პირს, რომლებიც შეამოწმებენ, არის თუ არა ყუთი სწორად დალუქული. დალუქული ყუთი იხსნება საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელთა თანდასწრებით

3. ყოველ გამოსაცდელს გადაეცემა დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო ტესტი და პასუხების ფურცელი.

4. კონვერტის გახსნამდე თითოეული გამოსაცდელი ვალდებულია შეამოწმოს კონვერტი. თუ კონვერტი გახსნილია ან ლუქი დაზიანებული ან სხვაგვარად იწვევს ეჭვს კონვერტის მთლიანობა, გამოსაცდელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ვიდრე იგი დაიწყებდეს კითხვებზე პასუხის გაცემას, განაცხადოს ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მას მიეცემა ახალი ტესტი. დაგვიანებით შემოსული პრეტენზია არ მიიღება.

5. ტესტურ გამოცდაზე გამოცხადებულ პირთათვის საგამოცდო ტესტების დარიგების შემდეგ საორგანიზაციო კომისია ითვლის დარჩენილი ტესტების რაოდენობას, ადგენს აქტს და ლუქავს ტესტებს სპეციალურ ყუთში.

**მუხლი 14. სავალდებულო ინსტრუქტაჟი ტესტური გამოცდის დაწყებამდე**

საგამოცდო ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემამდე საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი ვალდებულია ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს გამოსაცდელებს, აუხსნას მათ ტესტების ამოხსნის მეთოდიკა, პასუხების ფურცლის შევსების წესი და სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია გამოცდის ჩატარებისათვის.

**მუხლი 15. საკანონმდებლო მასალის გამოყენების აკრძალვა**

1. ტესტური გამოცდის დაწყებამდე გამოსაცდელს ჩამოერთმევა ნორმატიული

აქტები, კანონთა კომენტარები, სახელმძღვანელოები ან სხვა ანალოგიური მასალა, ასევე აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებები.

2. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის ან ტექნიკური საშუალების გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0 (ნული).

**მუხლი 16. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება და საგამოცდო ფურცლის გაცემა**

1. ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობიდან შერჩეული უფლებამოსილი პირების მიერ კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ან მის მიერ უფლებამოსილი საგამოცდო კომისიის წევრის მეთვალყურეობით.

2. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

3. გამოსაცდელს, რომელმაც ტესტური გამოცდის შედეგად დააგროვა 75 (სამოცდათხუთმეტი) და მეტი ქულა, მიეცემა საგამოცდო ფურცელი, რაც მას წერით გამოცდაზე გასვლის უფლებას აძლევს.

## თავი III.
## წერითი გამოცდა

**მუხლი 17. წერითი გამოცდის ჩატარება**

1. წერითი გამოცდა ტარდება ერთ ტურად.

2. წერითი გამოცდის საკითხი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს გამოსაცდელის როგორც თეორიული ცოდნის, ისე ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა.

**მუხლი 18. წერითი გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები**

წერითი გამოცდა ტარდება ტესტური გამოცდის შემდეგ და მასზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ტესტური გამოცდა.

**მუხლი 19. საგამოცდო ბილეთი**

1. წერითი გამოცდა ტარდება საგამოცდო ბილეთების მეშვეობით. საგამოცდო ბილეთი შედგება ხუთი საკითხისგან (კაზუსი).

2. კაზუსის ამოხსნის დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაცია — სამართლებრივი ნორმების მისადაგება ამოსახსნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან. ასევე მან უნდა შეძლოს ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული არგუმენტებით.

**მუხლი 20. საგამოცდო ბილეთის შეფასება**

1. ბილეთის ყოველი საკითხი ფასდება ხუთქულიანი სისტემით. მაქსიმალური შეფასება არის 5 (ხუთი) ქულა, ხოლო მინიმალური — 0 (ნული) ქულა.

2. ყოველ ბილეთზე ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 25 (ოცდახუთ) ქულას, ხოლო მინიმალური რაოდენობა 0 (ნულ) ქულას.

**მუხლი 21. წერითი გამოცდის შედეგები**

წერითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 15 (თხუთმეტ) ქულას.

**მუხლი 22. წერითი გამოცდის ჩაბარების დრო**

1. წერითი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ექვსი საათი. დროის გადაცილების შემდეგ საორგანიზაციო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. პირველი გაფრთხილების შემდეგ არავის არა აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო დარბაზი წერითი ნამუშევრის ჩაბარების გარეშე.

**მუხლი 23. საგამოცდო რვეული**

1. წერითი გამოცდის დაწყების წინ გამოსაცდელებს დაურიგდებათ საგამოცდო რვეულები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სათანადო აღნიშვნებით.

2. გამოსაცდელს არა აქვს უფლება წერითი ნამუშევარი შეასრულოს სხვა რვეულში, გარდა იმისა, რაც მათ გამოცდის წინ მიეცემათ. სხვა რვეულში შესრულებული ნაშრომი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

**მუხლი 24. წინასაგამოცდო ინსტრუქტაჟი**

წერითი გამოცდის დაწყებამდე საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი ინსტრუქტაჟს უტარებს გამოსაცდელებს, აუხსნის მათ საგამოცდო რვეულის თავფურცლის შევსების წესს და სხვა ტექნიკურ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია გამოცდის ჩატარებისათვის.

**მუხლი 25. საგამოცდო ბილეთის დარიგების წესი**

1. წერითი გამოცდის დაწყებამდე საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელს საგამოცდო დარბაზში შემოაქვს დალუქული კონვერტი ან ყუთი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო ბილეთები.

2. საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი გამოსაცდელთაგან მოიწვევს რამდენიმე პირს, რომლებიც შეამოწმებენ, არის თუ არა ყუთი ან კონვერტი სწორად დალუქული. ყუთი (კონვერტი) გაიხსნება მათი თანდასწრებით.

3. ყოველ გამოსაცდელს დაურიგდება საგამოცდო ბილეთი და საგამოცდო რვეული.

**მუხლი 26. საკანონმდებლო მასალის გამოყენების უფლება**

1. წერითი გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელებს უფლება აქვთ

გამოიყენონ საკანონმდებლო აქტის ტექსტები და სხვა ნორმატიული მასალა.

2. წერითი გამოცდის დაწყებამდე გამოსაცდელს ჩამოერთმევა კანონთა კომენტარები, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0 (ნული).

**მუხლი 27. წერითი ნაშრომის გასწორება**

1. წერითი გამოცდის დამთავრების შემდეგ თითოეული გამოსაცდელი წერით ნაშრომს და საგამოცდო ფურცელს აბარებს საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელს.

2. ნაშრომის ჩაბარების შემდეგ ყველა რვეული დაიშიფრება, მოეხსნება თავფურცელი და დაილუქება სპეციალურ ყუთში საორგანიზაციო კომისიის მიერ.

3. ყუთის გახსნა, რომელშიც მოთავსებულია რვეულის თავფურცლები, მოხდება საორგანიზაციო კომისიის მიერ წერითი ნამუშევრების გასწორების შემდეგ და მოხდება რვეულების, თავფურცლების და საგამოცდო ბლანკების იდენტიფიკაცია მათზე აღნიშნული შესაბამისი კოდების (ნომრების) მიხედვით.

4. წერითი ნაშრომის გასწორება ხდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრების მიერ. წერითი გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია გამოსაცდელისა და გამომცდელის ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

## თავი IV.
## საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია

**მუხლი 28. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნა და მისი უფლებამოსილება**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია (შემდგომში - საგამოცდო კომისია).

2. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საგამოცდო კომისიის წევრთაგან ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4. საგამოცდო კომისიის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

## თავი V.
## საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების წესი და ზედამხედველობა გამოცდის მიმდინარეობაზე

**მუხლი 29. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების დრო**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის დღეს ყველა გამოსაცდელი უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე დილის 9 საათზე და გაიაროს რეგისტრაცია.

გამოსაცდელებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგამოცდო ფურცელი.

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საგამოცდო ფურცლის გარეშე გამოცხადებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. რეგისტრაციის დასრულებისთანავე იხურება შენობის შესასვლელი კარები და დაგვიანებული პირები გამოცდაზე არ დაიშვებიან.

4. ტესტური გამოცდა დაიწყება რეგისტრაციის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, ხოლო წერითი გამოცდა - რეგისტრაციის დამთავრებიდან არა უგვიანეს ორი საათისა.

**მუხლი 30. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შედეგები**

საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა პირს უფლებას ართმევს მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

**მუხლი 31. საგამოცდო დარბაზში ადგილის დაკავების წესი**

1. საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამოსაცდელები იღებენ ადგილის დაკავებისათვის განკუთვნილ დანომრილ ბარათებს, რომლის მიხედვით იკავებენ ადგილს საგამოცდო დარბაზში.

2. საგამოცდო დარბაზში ადგილის თვითნებურად დაკავების შემთხვევაში გამოსაცდელი მოიხსნება გამოცდიდან.

**მუხლი 32. საგამოცდო დარბაზში შესვლის უფლება**

საგამოცდო დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ გამოსაცდელები და სპეციალური საშვის მქონე პირები.

**მუხლი 33. საკვალიფიკაციო გამოცდიდან გაძევების შედეგები**

საკვალიფიკაციო გამოცდაზე წესრიგის დარღვევის გამო გამოსაცდელის გაძევების შემთხვევაში მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს მომდევნო ორ საკვალიფიკაციო გამოცდაში.

**მუხლი 34. საჯაროობა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისას**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას საზოგადოებრივი კონტროლისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოცდაზე მეთვალყურეებად დაიშვებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე უნდა გაიარონ აკრედიტაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო კომისიაში და მიიღონ საგამოცდო დარბაზში შესასვლელი საშვი.

3. მეთვალყურეები საგამოცდო დარბაზში დაიკავებენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებს. საგამოცდო პროცესში ჩარევის უფლება მათ არა აქვთ. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მეთვალყურე დათხოვილი იქნება საგამოცდო დარბაზიდან.

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბრის № 1/207-2007

გადაწყვეტილებით

*დანართი 2*

## მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

**შინაარსი**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.
2. სისხლის სამართალი.
3. სისხლის სამართლის პროცესი.
4. სამოქალაქო სამართალი.
5. სამოქალაქო საპროცესო სამართალი.
6. ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი.
7. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
8. სასამართლო კონტროლი სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებებზე, საგამოძიებო მოქმედებებსა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე.
9. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი.

### საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი

**თემა I. კონსტიტუციის ცნება, დამახასიათებელი ნიშნები და მნიშვნელობა (ზოგადი მიმოხილვა)**

კონსტიტუციის ცნება, არსი და იურიდიული მნიშვნელობა. კონსტიტუციის ნორმების ადგილი სამართლის სისტემაში. კონსტიტუცია – მიმდინარე კანონმდებლობის იურიდიული ბაზა. კონსტიტუციის უზენაესობა.

**თემა II. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია**

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია – ქვეყნის უზენაესი კანონი, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი. საქართველოს კონსტიტუციის სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, მათი სისტემა და თავისებურებანი.

**თემა III. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური საფუძვლები**

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ცნება და არსი. სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობის ფორმები. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების წესი. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობა. სახელმწიფო და ეკლესია. კონსტიტუციური შეთანხმება

**თემა IV. მოქალაქეობა**

საქართველოს მოქალაქეობის ცნება. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი და საფუძვლები. ორმაგი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები. ბავშვების მოქალაქეობის შეცვლის წესი. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესი. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქმეთა გადაწყვეტის წესი.

**თემა V. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები**

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ცნება და იურიდიული ბუნება. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები, მათი რეალიზაციის პირობები და საშუალებები. საჩივრისა და პეტიციის უფლება. სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა არაკანონიერი მოქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება. სასამართლო წესით დაცვის (სამართლიანი სასამართლოს) უფლება. საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური მოვალეობები. უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში. თავშესაფრის უფლება.

**თემა VI. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა**

საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები — ქალაქი, რაიონი, ქალაქის რაიონი, სოფელი, დაბა, თემი.

**თემა VII. სახელმწიფო ორგანოთა სისტემა. მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციური პრინციპები**

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ცნება და სისტემა. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპი. ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი.

**თემა VIII. საქართველოს საარჩევნო სისტემა**

საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები. საქართველოს საარჩევნო სისტემის სახეები. საარჩევნო პროცესი და მისი სტადიები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საარჩევნო სისტემა, მისი თავისებურებანი.

**თემა IX. საქართველოს პარლამენტი**

საქართველოს პარლამენტი — საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. უფლებამოსილების ვადა, კომპეტენცია და სტრუქტურა. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი. სადეპუტატო მანდატის ხასიათი. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები. პარლამენტის წევრის საქმიანობის გარანტიები. საქართველოს პარლამენტის აქტები. საქართველოს პარლამენტის სესიები და პლენარული სხდომები. საკანონმდებლო პროცესი და მისი სტადიები.

**თემა X. საქართველოს პრეზიდენტი**

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები. საქართველოს

პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფო მეთაური. პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ეროვნული უშიშროების საბჭო, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების პროცესში. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, დაკავშირებული პარლამენტის საქმიანობასთან. სუსპენზიური ვეტოს უფლება. საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წესი (იმპიჩმენტი). საქართველოს პრეზიდენტის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

### თემა XI. საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი სტატუსი. მთავრობის შემადგენლობა, სტრუქტურა, უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი. მთავრობის წევრთა უფლებამოსილების მოხსნის წესი და პირობები. მთავრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან. მთავრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს პრეზიდენტთან. მთავრობის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

საქართველოს პროკურატურა. პროკურატურის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.

### თემა XII. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები

სასამართლო ხელისუფლების სისტემა. მართლმსაჯულების განხორციელება და საკონსტიტუციო სამართალწარმოება. საერთო სასამართლოების სისტემა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. მისი ფორმირების წესი და უფლებამოსილება.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები.

სააპელაციო სასამართლოები.

მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის წესი, კომპეტენცია. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების პროცესი. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინებით შესვლის უფლება.

მოსამართლეთა საქმიანობის კონსტიტუციური გარანტიები.

საქართველოს ადვოკატურა.

### თემა XIII. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:


საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ.".

კანონი „ადვოკატთა შესახებ".

ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“.

კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“.

ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“.

კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.

ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.

კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

ზ.ადეიშვილი, გ.ვინტერი, დ.ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2002.

ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული) რედაქ. კ.კორკელია, თბილისი, 2002 წ.

ა.აბესაძე, საქართველოს ტერიტორიული მართვის კონსტიტუციური პრობლემები, პროფ. გ.ინწკირველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1996 წ., გვ. 106-111.

ა.აბესაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 1996 წ. ჟურნ. „სამართალი“, 1-2.

კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003 წ., გამომცემლობა „ჯისიაი“.

ა.ლორია, მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 1996 წ.

ვ.ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1995 წ.

ო.მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალი, თბ., 1995 წ.

ო.მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ.

კ.მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ჟურნ. „სამართალი“, 1991 წ., 3,4,5.

ბ.ნაკაშიძე, თვითმმართველობა საქართველოში – სამართლებრივ-პოლიტიკური პრობლემები, ბათუმი, 1994 წ.

ზ.რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999 წ.

ბ.სავანელი, ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის კონსტიტუციური გარანტიები, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994 წ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წწ.), შემდგ. გრ. ერემოვი, თბ., 1993 წ.

ი.სურგულაძე, სახელმწიფო, ჟურნ. „სამართალი“, 1996 წ., 7-8.

ი.ფუტკარაძე, უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში, ჟურნ. „სამართალი“, 1992 წ., 12, გვ. 2-8.

ი.ფუტკარაძე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება, ჟურნ. „სამართალი“, 1991 წ., გვ. 10.

პ.ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1996 წ.

პ.ცნობილაძე, სამართლის ნორმები და წესრიგის დამყარება საზოგადოებაში, ჟურნ. „სამართალი“, 1993 წ., 3-4.

პ.ცნობილაძე, კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბ., 1998 წ.

ლ.ჭანტურია, ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია, ჟურნ. „სამართალი", 1993 წ., 5-6.

გ.ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2004 წ.

ზ.ჯინჯოლავა, საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია 1995 წლის კონსტიტუციით, პროფ. გ. ინწკირველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996 წ., გვ. 90-99.

## სისხლის სამართალი

### თემა I. სისხლის სამართლის კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. კანონის ანალოგია და მისი გამოყენების ფარგლები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან შესაბამისობის საკითხი. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებანი სისხლის სამართლის სფეროში.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები.

დანაშაულის ჩადენის დრო. დანაშაულის ჩადენის ადგილი სუყველგანობის თეორიის მიხედვით.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში. მისი ძალაში შესვლა და ძალის დაკარგვა. სისხლის სამართლის კანონის უკუძალის საკითხი.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების პრინციპები.

ტერიტორიალურობის პრინციპი. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში.

აქტიური პერსონალურობის ანუ საკუთარი მოქალაქის დასჯის პრინციპი.

პასიური პერსონალურობის ანუ საკუთარი მოქალაქის დაცვის პრინციპი.

რეალობის ანუ სახელმწიფო ინტერესების დაცვის პრინციპი.

უნივერსალობის ანუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ქმედებათა დასჯადობის პრინციპი.

მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი. დამნაშავის გადაცემა.

### თემა II. დანაშაული

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. დანაშაულის ნიშნები. დანაშაულის კატეგორიები. ერთიანი დანაშაულის სახეები. დანაშაულის სიმრავლე. რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი.

### თემა III. დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა

დანაშაულებრივი ქმედება. დანაშაულებრივი შედეგი. მიზეზობრივი კავშირი. უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საფუძველი. მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის შინაარსი. სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობის სისხლისსამართლებრივი შედეგები.

განზრახვა და მისი სახეები.

გაუფრთხილებლობა და მისი სახეები.

პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის.

**თემა IV. მართლწინააღმდეგობა**

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.

აუცილებელი მოგერიება.

დამნაშავის შეპყრობა.

უკიდურესი აუცილებლობა.

მართლზომიერი რისკი.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა გარემოებანი.

**თემა V. ბრალი**

ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.

შეურაცხაობა ასაკის გამო.

შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო.

შეზღუდული შერაცხადობა და მისი სისხლის სამართლებრივი შედეგები.

იურიდიული და ფაქტობრივი შეცდომა და მისი ზეგავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

ბრძანების ან განკარგულების შესრულება.

ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოებანი.

ტრაგიკული კოლიზია და მისი სისხლისსამართლებრივი შედეგები.

ბრალის გამომრიცხველი და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევების ურთიერთგამიჯვნა.

**თემა VI. დაუმთავრებელი დანაშაული**

დანაშაულის მომზადება. მომზადების დასჯადობის შემთხვევები.

დანაშაულის მცდელობა. მცდელობის სახეები: დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. უვარგისი მცდელობა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. თანამონაწილეთა ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე.

**თემა VII. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა**

დანაშაულის ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებლობა. დანაშაულში თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის სახეები. ორგანიზატორი. წამქეზებელი. დამხმარე. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება. ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა. ამსრულებლის ექსცესი. ჯგუფური დანაშაული. თანამონაწილეობის გამიჯვნა დანაშაულის შემწყნარებლობისაგან.

**თემა VIII. სასჯელი**

სასჯელის მიზნები. სასჯელის სახეები. ძირითადი და დამატებითი სასჯელები. ჯარიმის გამოთვლის წესი დღიური ანაზღაურების სისტემით. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. უვადო თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის სხვა სახეები.

**თემა IX. სასჯელის დანიშვნა**

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის და განაჩენთა ერთობლიობის დროს. სასჯელთა შეკრება. სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა.

**თემა X. პირობითი მსჯავრი**

პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი. გამოსაცდელი ვადა. მოვალეობის დაკისრება. პირობითი მსჯავრის გაუქმება და გამოსაცდელი ვადის გაგრძელება.

**თემა XI. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება**

ქმედითი მონანიება. დაზარალებულთან შერიგება. ვითარების შეცვლა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა. ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

**თემა XII. სასჯელისაგან გათავისუფლება**

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება. სასჯელის მოუხდელის ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო. სასჯელისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ასაკის გამო. ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

**თემა XIII. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა.**

**თემა XIV. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა**

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი. არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

**თემა XV. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა**

**თემა XVI. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები.

განსაცდელში მიტოვებისა და უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის ურთიერთგამიჯვნა.

დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ.

დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ.

**თემა XVII. ეკონომიკური დანაშაული**

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ.

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში.

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში.

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

**თემა XVIII. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ**

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ.

სამუშაო წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა.

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინაარმდეგ.

დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

ნარკოტიკული დანაშაული.

სატრანსპორტო დანაშაული.

კომპიუტერული დანაშაული.

**თემა XIX. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ**

დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ.

**თემა XX. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ**

დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ.

ტერორიზმი.

სამოხელეო დანაშაული.

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ.

**თემა XXI. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ**

დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ.

დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ.

დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ.

**თემა XXII. დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ**

დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ.

დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ.

**თემა XXIII. დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ**

დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებიდან და მათი დამატებითი ოქმებიდან გამომდინარე საქართველოს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ვალდებულებები.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :


სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თსუ-ს გამომცემლობა, რედაქტორები: პროფ. მ. ტყეშელიაძე, პროფ. გ. ნაჭყებია, თბ., 2004 წ.

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს I, II, III, და IV კონვენციები და 1977 წლის 8 ივნისის I და II დამატებითი ოქმები.

ევროპის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ.

გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობით ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა,

თბ., 1974 წ.

გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივ სახელმწიფოსათვის, თბ., 1998 წ.

ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999 წ.

მაყაშვილი კ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (კომენტარები), თბ., 1999 წ.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი. დანაშაული, თბ., 1997 წ.

ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965 წ.

ტურავა მ., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2000 წ.

ტურავა მ., სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თანდართული ტესტების ნიმუშებით) მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2004 წ.

გამყრელიძე ო., ებრალიძე თ., სურგულაძე ლ., ტურავა მ., ტყეშელიაძე გ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარები (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბ., 2003 წ.

თოდუა ნ., მამულაშვილი გ., გვენეტაძე ნ., დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, თბ., 2005 წ.

დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ., 2004 წ.

უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თსუ., 1983 წ.

უგრეხელიძე მ., გაუფრთხილებელი ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში, მოსკოვი, 1976 წ. რუსულ ენაზე.

შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი საქართველოს კანონმდებლობაში, 1968 წ.

წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, 1969 წ.

წერეთელი თ., მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, მოსკოვი, 1976 წ. რუსულ ენაზე.

წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 1961 წ.

წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965 წ.

წულაია ზ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1999 წ.

გოთუა ზ., სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. სასჯელი. თბ., 2001 წ.

## სისხლის სამართლის პროცესი

**თემა I. სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა**

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები სისხლის სამართლის პროცესის წყაროები.

**თემა II. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედების ფარგლები**

სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში. სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოს სისხლის საპროცესო სამართლის კანონის გამოყენების შემთხვევები და წესი. საქართველოს სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე, აგრეთვე დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირების მიმართ და დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ დაკავებულ შენობებსა და ტერიტორიებზე.

**თემა III. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები**

**თემა IV. სისხლისსამართლებრივი დევნა და მისი სახეები**

**თემა V. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში**

**თემა VI. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი. სასამართლო.**

**თემა VII. პროკურორი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე**

პროკურატურის ფუნქციები და მათი შინაარსი სისხლის სამართლის პროცესში. პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის უფლებამოსილებები. პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში.

**თემა VIII. გამომძიებელი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე**

გამომძიებლის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში. გამომძიებლის უფლებამოსილებები. გამომძიებლის დავალება. უწყებრივი, პერსონალური და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა. წინასწარი გამოძიების ორგანოები.

**თემა IX. დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები**

პირის ცნობა დაზარალებულად. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებამოსილებები სისხლის სამართლის პროცესში. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები. დაზარალებულის წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში.

**თემა X. ეჭვმიტანილი და ბრალდებული, როგორც პროცესის მონაწილეები**

პირის ცნობა ეჭვმიტანილად. პირის ეჭვმიტანილად ცნობასთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედებანი და მათი ჩატარების წესები. ეჭვმიტანილის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. ეჭვმიტანილის საპროცესო მოვალეობები და მათი დარღვევის შედეგები. პირის ბრალდებულად ცნობა. ბრალდებულის უფლებები და მოვალეობები.

**თემა XI. დამცველი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე**

დამცველი სისხლის სამართლის პროცესში. დაცვა შეთანხმებით. დაცვა დანიშვნით. იძულებითი დაცვა. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დამცველის დაშვება, მისი მოწვევისა და შეცვლის მოთხოვნის გადაწყვეტა. დამცველის უფლება-მოვალეობანი სისხლის სამართლის პროცესში.

**თემა XII. სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები**

სამოქალაქო მოსარჩელე. სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობანი. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი. სამოქალაქო მოპასუხე. სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობანი. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი.

**თემა XIII. სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი**

მოწმე, როგორც პროცესის მონაწილე; მისი უფლებები, მოვალეობები, საქმეში მოწმედ მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები. მოწმედ ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ. ექსპერტი, ექსპერტის უფლება-მოვალეობანი. სპეციალისტი, სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი. თარჯიმანი. თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი. დამსწრე. დამსწრის უფლება-მოვალეობანი.

**თემა XIV. პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები. აცილება და თვითაცილება სისხლის სამართლის პროცესში**

გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობას. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში დამცველის, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების მონაწილეობას. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის მონაწილეობას. განცხადება აცილებისა და თვითაცილების შესახებ, მათი გადაწყვეტის წესი.

**თემა XV. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი**

დაცვის სპეციალური ღონისძიებანი. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა. შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. შეტყობინება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ. ინფორმაციის დაცვა.

**თემა XVI. მტკიცებულებანი სისხლის სამართლის პროცესში**

მტკიცებულებები, რომლებიც დაშვებულია სისხლის სამართლის პროცესში. ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერი სისხლის სამართლის პროცესში. მოპოვებული და მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობები სისხლის სამართლის პროცესში. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მიღებული მონაცემები სისხლის სამართლის პროცესში. დაუშვებელი მტკიცებულებანი. გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე. გარემოებები, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე და პრეიუდიციები. ეჭვმიტანილის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება, დაზარალებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულება. ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება. ნივთიერი მტკიცებულებები პროცესში და მათთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედებათა რეგლამენტაცია.

**თემა XVII. მტკიცების პროცესი**

მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა სისხლის სამართლის საქმეზე. მტკიცებულებათა დამაგრება, შემოწმება და შეფასება.

**თემა XVIII. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები**

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეები და ღონისძიებები. მოპყრობა იმ პირისადმი, რომლის მიმართ გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობები. დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უზრუნველყოფა მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ოჯახის წევრის, ნათესავის ან სხვა ახლობელი პირისათვის შეტყობინების

შესაძლებლობებით. სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების საფუძველი, წესი და პირობები. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი.

**თემა XIX. დაკავების, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება**

დაკავების გამოყენების პირობა და მიზანი. დაკავების საფუძველი. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება. პირები, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით დაკავებისას. დაკავების წესი. დაკავების კანონიერების შემოწმება. მსჯავრდებულის დაკავება. დაკავების დროის ჩათვლა. დაკავებულის ყოფნის ადგილი. დაკავებისაგან განთავისუფლების საფუძველი და წესი.

**თემა XX. აღკვეთის ღონისძიებანი**

**თემა XXI. მოყვანა, პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში. ბრალდებულისა და ეჭვმიტანილის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება. ქონებაზე ყადაღის დადება.**

**თემა XXII. პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის.**

**თემა XXIII. რეაბილიტაცია და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.**

**თემა XXIV. შუამდგომლობა და საჩივარი**

**თემა XXV. საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში. სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ურთიერთქმედება საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების გაწევის წესით**

სამართლებრივი დახმარების სახეები. საქართველოს მოქალაქის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს დავალებების შესრულება. მოთხოვნა საქართველოს მოქალაქის გადმოცემის შესახებ. გადმოცემის პირობები. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის გადაცემა. გადაცემაზე უარის თქმა. გადასაცემი პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

**თემა XXVI. წინასწარი გამოძიების ზოგადი დებულებანი და წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები. საქმეების გაერთიანება და გამოყოფა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიებზე.**

**თემა XXVII. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი.**

**თემა XXVIII. საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში**

საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ზოგადი საკითხები. დაკითხვა.

**თემა XXIX. ამოღება და ჩხრეკა**

**თემა XXX. დათვალიერება.**

**თემა XXXI. საგამოძიებო ექსპერიმენტი.**

**თემა XXXII. ჩვენების ადგილზე შემოწმება.**

**თემა XXXIII. პირის წარდგენა ამოსაცნობად. საგნისა და გვამის ამოცნობა. ამოსაცნობად წარდგენის საფუძველი და წესი.**

**თემა XXXIV. შემოწმება.**

**თემა XXXV. ექსპერტიზა სისხლის სამართლის პროცესში**

ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი. ექსპერტიზის ობიექტები. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო წესები. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა. საკომისიო ექსპერტიზა. კომპლექსური ექსპერტიზა. ალტერნატიული ექსპერტიზა. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისას. ექსპერტის დასკვნა, მისი ფორმები, ექსპერტის დასკვნის შეფასება. ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვისგვამის ექსჰუმაციის მიზანი, საფუძველი და წესი.

**თემა XXXVI. წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა.**

**თემა XXXVII. სასამართლო განხილვის საერთო პირობები, პრინციპები და წესები.**

**თემა XXXVIII. წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.**

**თემა XXXIX. საქმის წარმოება სააპელაციო ინსტანციაში.**

**თემა X L. საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში.**

**თემა XLI. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო**

**თემა XLII. სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება**

**თემა XLIII. ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამო წარმოების თავისებურება**

კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების წესები. არასრულწლოვანის დანაშაულზე საქმის წარმოების წესები.

**თემა XLIV. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება**

**თემა XLV. საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს**

**თემა XLVI. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და მათ ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლო აქტების მიღების საფუძველი და წესი**

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. საქვეყნოობა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პირობები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შეწყვეტა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგების გამოყენება.

